

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“

ანგარიში 2016 წლის საგადასახადო აღრიცხვიანობის
მიმოხილვის შესახებ

შეთანხმებული პროცედურების
შესრულებით

აპრილი, 2017 წ.

სსიპ-ის „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ საგადასახადო აღრიცხვიანობის მიმოხილვა სსიპ-ში „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. მიმოხილვა შესრულდა საერთაშორისო სტანდარტის ISRS 4400 ნორმის მიხედვით. აღნიშნული მიმოხილვისას ვიხელმძღვანელებთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და გავითვალისწინეთ დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკა.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა მიმოხილვამ მოიცვა შემდეგი საკითხები:

- ✓ გადახდის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადები:
 - *საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციები;*
 - *ყოველთვიურ განაცემთა ინფორმაცია;*
 - *არარეზიდენტთათვის გადასახდელი/დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადი;*
 - *ორმაგ დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხები (მ.შ. ყოველწლიურად წარსადგენი ფორმა NI) .*

- ✓ დამატებული ღირებულების გადასახადი:
 - *დამატებული ღირებულების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციები;*
 - *უკუდაბეგვრის დღგ.*

- ✓ მოგების გადასახადი (წლიური დეკლარაცია);
- ✓ ქონების გადასახადი (წლიური დეკლარაცია);
- ✓ ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული აქტივების ღირებულების აღრიცხვასა და მასთან დაკავშირებული საგადასახადო საკითხები;
- ✓ საბუღალტრო აღრიცხვის შესაბამისობის საკითხები;

მიმოხილვის ჩატარების პროცედურები ურთიერთშეთანხმებულია „საზოგადოებრივი მაუწყებელსა“ და „ფი-ქეი-ეფ ჯორჯიას“ შორის.

ჩატარებული სამუშაო პროცესების ზოგადი აღწერა, მიზანი, შესრულების მეთოდები, პრინციპები და მოცულობა

განსახილველი საკითხის შეფასების კრიტერიუმები

ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგების შემოწმებისას ანგარიშგების სისწორის კრიტერიუმები არის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ (სსკ) და შემოსავლების სამსახურის სიტუაციური სახელმძღვანელოების მოთხოვნები.

ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგების სისწორე კონკრეტულად ნიშნავს, რომ:

- ა) ორგანიზაციის მიერ სწორად ხდება ყველა იმ გადასახადის განსაზღვრა, რომლის გადახდაც მას ევალება შესაბამისი პერიოდისათვის მოქმედი სსკ-ის შესაბამისად;
- ბ) ორგანიზაციის მიერ მისთვის შესაფერისი გადასახადების გაანგარიშებისას საგადასახადო ბაზების განსაზღვრა ხდება შესაბამისი პერიოდისათვის მოქმედი სსკ-ის შესაბამისად;
- გ) ორგანიზაციის მიერ გადასახადების გაანგარიშებისას გადასახადის განაკვეთის შერჩევა ხდება შესაბამისი პერიოდისათვის მოქმედი სსკ-ის შესაბამისად;
- დ) ორგანიზაციის მიერ დროულად და სწორად ხდება დეკლარაციების და სხვა ინფორმაციის წარდგენა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში სსკ-ის შესაბამისად.

გარიგების ფარგლებში ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები:

- შევისწავლეთ ორგანიზაციის საქმიანობა, გავერკვიეთ მის ოპერაციებში და გავაანალიზეთ, შესამოწმებელ პერიოდში რა სახის გადასახადები იყო შესაბამისი „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე;
- გამოვითხოვეთ შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები და დავრწმუნდით, რომ დეკლარაციები დროულადაა წარდგენილი შემოსავლების სამსახურში;
- გავესაუბრეთ ორგანიზაციის მენეჯმენტს, აგრეთვე შესაბამის პერსონალს, რომელიც შეირჩა თითოეული საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე. მათგან მივიღეთ ჩვენთვის სასურველი მონაცემები და განმარტებები, აგრეთვე - ინფორმაცია მათი შეფასებით ყველაზე კრიტიკულ საგადასახადო საკითხებზე;
- შევისწავლეთ ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და გავარკვიეთ, როგორ ახდენს იგი დასაბეგრი ბაზების განსაზღვრას და შევავსეთ, რამდენად სწორია დაბეგვრის ობიექტის და დასაბეგრი თანხის განსაზღვრის მიღებული მეთოდები;
- მოწოდებული ინფორმაციის და დეკლარაციების გადახედვის გზით გადავამოწმეთ, იყენებს თუ არა ორგანიზაცია სსკ-ით დადგენილ შეღავათებს;

- ორგანიზაციის მიერ გამოყენებული საგადასახადო განაკვეთები ყველა შესაბამისი გადასახადისათვის შევადარეთ შესაბამის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან;
- შერჩევით შევისწავლეთ ორგანიზაციის მიერ წარმოებული პირველადი დოკუმენტაცია და საკითხი, არსებობს თუ არა რაიმე არსებითი ხარვეზები დოკუმენტაციის წარმოებაში, რასაც არსებითი საგადასახადო შეუსაბამოებები შეიძლება მოჰყოლოდა;
- გავეცანით ორგანიზაციის მიერ გამოყენებულ შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების მეთოდებს და გავანალიზეთ მათი შესაბამისობა მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობასთან;
- ჩანაწერების და დოკუმენტაციის გადახედვის გზით შევამოწმეთ, ახდენს თუ არა ორგანიზაციის ყველა შესაბამისი გადასახადის დაკავებას გადასახდელი თანხებიდან;
- გადავიანგარიშეთ გადასახადები და შევუდარეთ ორგანიზაციის მიერ წარდგენილი დეკლარაციების მონაცემებს; აგრეთვე (სადაც არსებობდა საჭიროება) გამოვითვალეთ დამატებით გადასახდელი ან ზედმეტად დეკლარირებული გადასახადები.

აღნიშნული პროცედურები ჩატარდა შერჩევის მეთოდით.

მხარეთა პასუხისმგებლობები:

ორგანიზაციის მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

ორგანიზაციის მიერ საგადასახადო ანგარიშგების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებისა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მოიცავს:

- შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც უზრუნველყოფს ისეთი საგადასახადო ანგარიშგების წარმოებას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს;
- შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის და მეთოდების შერჩევას და მათ მიზანმიმართულად გამოყენებას;
- სიტუაციისათვის შესაბამისი საბუღალტრო შეფასებების წარმოებას და საკანონმდებლო მოთხოვნების სწორ ინტერპრეტაციას სსკ-ის მიხედვით გადასახადებით დასაბეგრი ბაზებისა და საგადასახადო ვალდებულებების, თუ მოთხოვნების განსაზღვრისათვის;
- შემოწმების პროცესში აუდიტორისთვის მიწოდებული დოკუმენტაციის წარმომავლობის და კანონიერების უზრუნველყოფას;
- აუდიტორის მიერ ჩატარებულ შემოწმებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი და წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩავატაროთ ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგების მიმოხილვა და წარმოვადგინოთ ის უზუსტობები, რომლებსაც შეიცავს ორგანიზაციის საგადასახადო ანგარიშგება „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუკი ასეთ უზუსტობებს გამოვავლენთ. ამასთან, აღნიშნული მიმოხილვა არ არის სრული აუდიტი, არ წარმოადგენს რაიმე რწმუნებულებას, გარანტიას ორგანიზაციის ბუღალტრული მონაცემების სიზუსტეზე, მათ სისრულეზე, ან საგადასახადო ვალდებულებების შესრულებაზე.

ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი ორგანიზაციის და მასთან სამეურნეო ოპერაციებში მონაწილე პირთა დოკუმენტების წარმომავლობაზე და იმ ინფორმაციაზე, რომელიც არ იქნა წარმოდგენილი ორგანიზაციის მიერ ამ დასკვნის მომზადებამდე და რომლის გათვალისწინებაც შესაბამისად, შეუძლებელი იყო სამუშაოს შესრულებისას.

იმ შემთხვევაში, თუკი იქნებოდა შეთანხმება და შესრულდებოდა დამატებით სხვა პროცედურები, შესაძლოა წარმოშობილიყო სხვა საკითხები, რომლებიც ჩაირთვებოდა ამ მიმოხილვაში.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მომზადებულია ორგანიზაციის ბუღალტრული ჩანაწერების, წარმოდგენილი საგადასახადო დეკლარაციების, ორგანიზაციის მენეჯმენტისა და ფინანსების მართვის პერსონალისაგან მოპოვებული ახსნა-განმარტებების ანალიზის საფუძველზე.

ზოგადი ინფორმაცია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) რეგისტრირებულია 1991 წლის 29 ივლისს, ხოლო 1995 წლის 18 აპრილს მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი 204858163.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ორგანიზაცია არის *პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნით დაფუძნებული, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობისათვის შექმნილი, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.* ორგანიზაცია არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას. ორგანიზაცია აღნიშნული კანონის საფუძველზე ახორციელებს თავის ძირითად საქმიანობას და ამავე კანონის შესაბამისად წარმოადგენს სსიპ-ის „საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა“ სამართალმემკვიდრეს.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის ორგანიზება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ;
- პროგრამების წარმოება, გახმოვანება, ტირაჟირება და საზოგადოებისათვის მიწოდება;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით აუდიო-ვიდეო და კინოპროდუქციის შექმნა, ამ პროდუქციაზე საავტორო, ინტელექტუალური საკუთრების და სხვა უფლებების მოპოვება;
- ტელერადიოპროდუქციის შექმნისათვის საჭირო პირობების შექმნა;
- სარეკლამო პროდუქციის დამზადება და სარეკლამო მომსახურების გაწევა.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოები/თანამდებობებია: სამეურვეო საბჭო (შედგება 9 წევრისგან) და გენერალური დირექტორი. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორია ბატონი ვასილ მალაფერიძე, მთავარი ბუღალტერი - ქალბატონი მაკა დუნდუა.

ორგანიზაციის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N68, ელ-ფოსტა info@gpb.ge.

ორგანიზაცია აღრიცხვას აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, იყენებს საბუღალტრო პროგრამას „ორისი“, აქვს გახსნილი საგადასახდო ვებ პორტალი საიტზე RS.GE, სადაც ახდენს გადასახადების დეკლარირებას, ახორციელებს ფაქტურებისა და ზედნადებების მიღება-გამოწერას და სხვა ოპერაციებს.

ფულადი სახსრების მოძრაობისას იყენებს შემდეგ ანგარიშებს:

- სს „კორ სტანდარტ ბანკი“;
- სს „ბანკი რესპუბლიკა“;
- „საქართველოს ეროვნული ბანკი“;
- „სახელმწიფო ხაზინის“ ერთიანი ანგარიში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ორგანიზაცია რეგისტრირებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად 2009 წლის 1 სექტემბერს. ორგანიზაციის მიერ წარდგენილია დეკლარაციები შემოსავლების სამსახურში, რომელთა მიხედვითაც 2016 წლის დასაბეგრი შემოსავალია 2,966,501 ლარი, უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ბრუნვაა 7,201,674 ლარი, დარიცხული გადასახადია 1,830,272 ლარი, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ბრუნვაა 88,178 ლარი, კორექტირების დღგ-მ შეადგინა 1,430 ლარი, ჩასათვლელმა დღგ-მ შეადგინა 206,682 ლარი, ხოლო სულ დღგ-ის ნაწილში ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადი შეადგენს 1,672,021 ლარს. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საქმიანობის სპეციფიკიდან

გამომდინარე რთულია, გაიმიჯნოს ჩასათვლელი დღგ, რის გამოც ორგანიზაცია იყენებს სსკ-ის 174-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირობას.

ჩვენს მიერ განხორციელდა დეკლარირებული მონაცემების შესწავლა ვებ პორტალიდან, აღნიშნულ გადასახადში პირველად დოკუმენტაციასთან, საბუღალტრო ჩანაწერებთან შესაბამისი მუშაობა, მათი შედარება პორტალზე ატვირთულ დეკლარაციებთან, შესაბამის პერსონალთან გასაუბრება. არსებითი სხვაობები, რაც გამოიწვევდა დამატებით დარიცხვებს, არ გამოვლენილა.



პერიოდი თვე	დეკლარირებული							ფაქტიური							სხვაობა		სულ სხვაობა
	18%-იანი განაკვეთით დასაბეგრი ბრუნვა	უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი	დღგ-ის ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ბრუნვა	დარიცხული დღგ	ჩასათვლელო დღგ (მათ შორის უკუდაბეგვრის წესით)	კორექტირება (დეკლარაციის 12, 13 გრაფა); დეკემბერში (დეკლარაციის 19,20 გრაფა)	ეკუთვნის ბიუჯეტს	18%-იანი განაკვეთით დასაბეგრი ბრუნვა	უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი	დღგ-ის ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ბრუნვა	დარიცხული დღგ	ჩასათვლელო დღგ (მათ შორის უკუდაბეგვრის წესით)	კორექტირება (დეკლარაციის 12, 13 გრაფა); დეკემბერში (დეკლარაციის 19,20 გრაფა)	ეკუთვნის ბიუჯეტს	+	-	
2016 წელი																	
1	129,353	457,322	1,000	105,601	4,052	92	101,642	129,353	457,322	1,000	105,601	4,052	92	101,642	-	-	-
2	143,309	597,869	-	133,412	8,856	156	124,713	143,309	597,869	-	133,412	8,856	156	124,713	-	-	-
3	147,349	221,090	4,148	66,319	6,614	158	59,863	147,349	221,090	4,148	66,319	6,614	158	59,863	-	-	-
4	128,925	124,153	6,667	45,554	2,485	-	43,069	128,925	124,153	6,667	45,554	2,485	-	43,069	-	-	-
5	106,661	355,291	6,667	83,151	7,995	40	75,196	106,661	355,291	6,667	83,151	7,995	40	75,196	-	-	-
6	1,016,414	1,897,512	5,487	524,507	109,773	544	415,278	1,016,414	1,897,512	5,487	524,507	109,773	544	415,278	-	-	-
7	314,549	877,549	7,287	214,578	18,229	122	196,470	314,549	877,549	7,287	214,578	18,229	122	196,470	-	-	-
8	359,685	378,976	-	132,959	12,029	11	120,941	359,685	378,976	-	132,959	12,029	11	120,941	-	-	-
9	127,695	560,407	7,188	123,858	7,997	84	115,945	127,695	560,407	7,188	123,858	7,997	84	115,945	-	-	-
10	91,648	494,715	19,928	105,545	5,290	-	100,256	91,648	494,715	19,928	105,545	5,290	-	100,256	-	-	-
11	254,518	521,838	7,088	139,744	15,529	222	124,437	254,518	521,838	7,088	139,744	15,529	222	124,437	-	-	-
12	146,394	714,953	22,720	155,042	7,834	47,002	194,211	146,394	714,953	22,720	155,042	7,834	47,002	194,211	-	-	-
სულ ჯამი:	2,966,501	7,201,674	88,178	1,830,272	206,682	48,432	1,672,021	2,966,501	7,201,674	88,178	1,830,272	206,682	48,432	1,672,021	-	-	-

საშემოსავლო გადასახადი

ორგანიზაცია ახორციელებს ხელფასის გაცემას დაქირავებით მომუშავე პერსონალზე. ფიქსირდება განაცემები ფიზიკურ პირებზე, რომელთა ნაწილი რეგისტრირებულია როგორც გადასახადის გადამხდელი, ხოლო ნაწილი - არ არის რეგისტრირებული. მათგან შეძენილია სხვადასხვა სახის მომსახურება, რაც ორგანიზაციის საქმიანობისთვისაა საჭირო. იმ პირებზე, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელად, ხდება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება და შესაბამისად ყოველთვიურად დეკლარირება. გამოყენებულია შეღავათები განაცემებზე.

დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე ხელფასის/სარგებლის (ფულადი, ნატურალური) სახით გაცემულმა ანაზღაურებამ შესამოწმებელ პერიოდში შემოსავლების სამსახურში წარდგენილი დეკლარაციების მიხედვით შეადგინა 22,873,022 ლარი, მათ შორის ექვემდებარებოდა გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით) 22,791,976 ლარი; შეღავათის ოდენობამ სულ შეადგინა 81,046 ლარი; გადასახადის გადამხდელად მოწმობის არმქონე ფიზიკურ პირებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებულმა განაცემებმა შეადგინა 167,709 ლარი; სსკ-ს 134-ე მუხლის (არარეზიდენტის შემოსავლის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან) პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა დასაკავებელმა განაცემებმა შეადგინა 7,722,648 ლარი; სულ ბიუჯეტში გადასახდელმა წყაროსთან დასაკავებელმა საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 5,364,202 ლარი.

ჩვენს მიერ განხორციელდა დეკლარირებული მონაცემების შესწავლა ვებ პორტალიდან, აღნიშნულ გადასახადში პირველად დოკუმენტაციასთან, საბუღალტრო ჩანაწერებთან შესაბამისი მუშაობა, მათი შედარება პორტალზე ატვირთულ დეკლარაციებთან, შესაბამის პერსონალთან გასაუბრება. არსებითი სხვაობები, რაც გამოიწვევდა დამატებით დარიცხვებს, არ გამოვლენილა.

პერიოდი თვე	დეკლარირებული					ფაქტიური					სხვაობა		სულ სხვაობა	
	გაცემული ანაზღაურება	ემცემდებარება დაბეგვრას (შელავაუბის გამოკლებით)	სხვა განცემები	არარეზიდენტ პირებზე გადახდილი ანაზღაურება	გადახდის წაროსთან დასაკავებელი სპეციფიკური გადასახადი	გაცემული ანაზღაურება	ემცემდებარება დაბეგვრას (შელავაუბის გამოკლებით)	სხვა განცემები	არარეზიდენტ პირებზე გადახდილი ანაზღაურება	გადახდის წაროსთან დასაკავებელი სპეციფიკური გადასახადი	+	-		
2016 წელი														
1	1,775,268	1,742,831	0	2,104,531	559,019	1,775,268	1,742,831	0	2,104,531	559,019	-	-	-	
2	1,758,505	1,730,414	21,783	403,450	390,784	1,758,505	1,730,414	21,783	403,450	390,784	-	-	-	
3	1,788,025	1,775,955	24,814	217,416	381,895	1,788,025	1,775,955	24,814	217,416	381,895	-	-	-	
4	1,795,775	1,793,556	26,527	1,303,059	494,322	1,795,775	1,793,556	26,527	1,303,059	494,322	-	-	-	
5	1,813,162	1,812,978	24,711	289,349	396,473	1,813,162	1,812,978	24,711	289,349	396,473	-	-	-	
6	1,900,894	1,900,894	15,470	14,000	384,673	1,900,894	1,900,894	15,470	14,000	384,673	-	-	-	
7	1,977,851	1,977,851	7,650	449,062	442,006	1,977,851	1,977,851	7,650	449,062	442,006	-	-	-	
8	1,911,566	1,911,566	4,047	409,217	424,044	1,911,566	1,911,566	4,047	409,217	424,044	-	-	-	
9	1,906,252	1,903,692	6,542	456,376	427,684	1,906,252	1,903,692	6,542	456,376	427,684	-	-	-	
10	1,940,209	1,937,649	21,568	422,474	434,091	1,940,209	1,937,649	21,568	422,474	434,091	-	-	-	
11	2,149,434	2,148,509	4,105	284,597	458,982	2,149,434	2,148,509	4,105	284,597	458,982	-	-	-	
12	2,156,081	2,156,081	10,492	1,369,116	570,226	2,156,081	2,156,081	10,492	1,369,116	570,226	-	-	-	
სულ ჯამი:	22,873,022	22,791,976	167,709	7,722,648	5,364,202	22,873,022	22,791,976	167,709	7,722,648	5,364,202	0	0	0	

აღსანიშნავია არარეზიდენტ პირებთან ურთიერთობა, რომლებთანაც ორგანიზაციას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა მომსახურების გაწევაზე. ორგანიზაციისთვის მომსახურების გამწევი პირების ნაწილი წარმოადგენს იმ სახელმწიფოების რეზიდენტებს, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებები. არსებული კანონმდებლობის თანახმად შესაძლებელია, მომსახურების გამწევი არარეზიდენტ პირებზე (მომსახურებისათვის) გადახდილი თანხები არ დაიბეგროს გადახდის წყაროსთან, თუკი დაცული იქნება კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

რეკომენდაცია:

- მოსათხოვია მომსახურების გამწევი კომპანიების რეზიდენტობის დამადასტურებელი შესაბამისი ცნობები. ეს ცნობები სათარგმნია ქართულად და აღნიშნული თარგმანი დასამოწმებელია ნოტარიულად.
- აღნიშნული ცნობები უნდა წარედგინოს შემოსავლების სამსახურში ფინანსთა სამინისტროს 2011 წლის 28 დეკემბრის N633 ბრძანებით დამტკიცებული ფორმის (ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ) თანახმად.

ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)

ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებული ქონება არ არის გათავისუფლებული ქონების გადასახადისგან (სსკ-ს 206-მუხლი). ეკონომიკური საქმიანობის ხვედრითი წილი არის გამიჯნული და შესაბამისი პროპორციით ქონების ეს ნაწილი წარმოადგენს ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს. ორგანიზაციის მიერ წლიური დეკლარაცია წარდგენილია შემოსავლების სამსახურში, რომლის მიხედვითაც ქონების საშუალო წლიურმა საბალანსო ნარჩენმა ღირებულებამ შეადგინა 956,959 ლარი, უძრავი ქონების აფასების კოეფიციენტის გათვალისწინებით კი 1,158,761 ლარი; ქონების გადასახადია (1%) 11,588 ლარი.

ჩვენს მიერ განხორციელდა დეკლარირებული მონაცემების შესწავლა ვებ პორტალიდან, აღნიშნულ გადასახადში პირველად დოკუმენტაციასთან, საბუღალტრო ჩანაწერებთან შესაბამისი მუშაობა, მათი შედარება პორტალზე ატვირთულ დეკლარაციასთან, შესაბამის პერსონალთან გასაუბრება. არსებითი სხვაობები, რაც გამოიწვევდა დამატებით დარიცხვებს, არ გამოვლენილა.

პერიოდი	ფინანსური განგარიშებით (უძრავი ქონების აფასების კოეფიციენტის გათვალისწინებით)	ფაქტიური	სხვაობა
2016 წელი			
ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება	1,158,761	1,158,761	-
საგადასახადო შეღავათი	-	-	-
გადასახადის განაკვეთი	0	0	-
გადასახადის თანხა	11,588	11,588	-

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმოხილვისას ჩვენს მიერ ჩატარებულმა პროცედურებმა მოიცვა: შემოსავლებთან და ხარჯებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, პირველადი საბუთების შესაბამისობის დადგენა თავისი შინაარსით და ფორმით, ბუღალტრულ აღრიცხვაში მათი გატარებების ფორმისა და შინაარსის შესაბამისობის შემოწმება, გაწეული ხარჯებიდან საგადასახადო მიზნებისათვის გამოსაქვითი ხარჯების გამიჯვნის საკითხი და სხვა. აღნიშნული პროცედურები ჩატარდა შერჩევითობის პრინციპით და თანხების მატერიალურობის გათვალისწინებით.

ორგანიზაცია შემოსავლებს იღებს ეკონომიკური საქმიანობიდან და სახელმწიფო დაფინანსებით. სახელმწიფო დაფინანსებით მიღებული შემოსავლები გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან (სსკ-ს 99-მუხლი). ორგანიზაციის მიერ გამიჯნულია გაწეული ხარჯების მთლიანი ოდენობა შემოსავლების ხვედრითი წილის შესაბამისად,

რადგან შეუძლებელია იმის გამოჯვნა, თუ რა ხარჯები იყო გაწეული ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლის მისაღებად.

ჩვენს მიერ განხორციელდა დეკლარირებული მონაცემების შესწავლა ვებ პორტალიდან, აღნიშნულ გადასახადში პირველად დოკუმენტაციასთან, საბუღალტრო ჩანაწერებთან შესაბამისი მუშაობა, მათი შედარება პორტალზე ატვირთულ დეკლარაციასთან, შესაბამის პერსონალთან გასაუბრება. არსებითი სხვაობები, რაც გამოიწვევდა დამატებით დარიცხვებს, არ გამოვლენილა.

მოგების დეკლარაცია 2016 წლის საანგარიშო პერიოდზე წარდგენილია შემოსავლების სამსახურში (იხ. მონაცემები ცხრილში):

ერთობლივი შემოსავალი		41,166,274
საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1,165,748	
საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		1,238,409
გამოქვითვები, მათ შორის:	3,388,185	
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	829,699	
ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი	426,128	
გაცემული ხელფასი	22,222,641	
საამორტიზაციო ანარიცხები	3,749,440	
სრულად გამოქვითული 1,000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	221,298	
სხვა გამოქვითვები (აღსადგენი ხარჯების გათვალისწინებით)	-24,061,021	
ჯამი	4,553,933	42,404,683
ერთობლივი შემოსავლის გადამეტება გამოქვითვებზე		37,850,750
დაბეგვრისაგან გათავისუფლებული მოგება (შემოსავალი)	37,839,033	
დასაბეგრი მოგება		11,717
კუთვნილი მოგების გადასახადი		1,7585

აღსანიშნია შემდეგი გარემოება: 2015 წლის მოგების დეკლარაციის მიხედვით საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება შეადგენდა 1,165,748 ლარს, განვილი პერიოდზე ჩატარებული აუდიტის მონაცემებით კი - 1,160,811 ლარს. 2016 წლის მოგების დეკლარაციის მე-17 გრაფაში (საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები) შეტანილია მონაცემი 1,165,748 ლარი ე.ი. არ არის გათვალისწინებული აუდიტის მიერ გამოვლენილი სხვაობა.

საინვენტარიზაციო აღწერის მიმოხილვა

ორგანიზაციის მიერ ჩატარებულია ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და არამატერიალური აქტივების საინვენტარიზაციო აღწერა. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 2016 წლის 26 სექტემბრის N221 ბრძანების საფუძველზე შექმნილია შესაბამისი კომისია, დანიშნულია მისი თავმჯდომარე და წევრები.

ინვენტარიზაციის მასალა დაბეჭდილია და ხელმოწერილია კომისიის წევრების მიერ. ჩვენ არ ჩავვითარებთ აღნიშნულ ინვენტარიზაციის სისრულის შემოწმება, რადგან იგი დასრულდა უფრო ადრე, ვიდრე ჩვენ დავიწყებდით ამ ანგარიშის მომზადებას. საინვენტარიზაციო აღწერის ფორმა იძლევა იმის საშუალებას, რომ ითქვას, რომ აღნიშნული მეთოდებით აქტივების აღწერა შესაძლოა, წარიმართა საგადასახადო მიზნებისათვის დამაკმაყოფილებელი პროცედურების დაცვით.

დოკუმენტის დასასრული

* * * * *



PKF Georgia LLC

Address: 61, D. Aghmashenebeli av., Tbilisi, 0102, Georgia

Tel: +995 32 2 24 30 30 | 2 24 30 31

Fax: +995 32 2 93 57 94 | E-Mail: pkf@pkfgeorgia.com | URL: www.pkfgeorgia.com

PKF Georgia is a member firm of the PKF International Limited network of legally independent firms and does not accept any responsibility or liability for the actions or inactions on the part of any other individual member firm or firms.